

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგება	10
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	11

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა	12
2. მომზადების საფუძვლები	12
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	14
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	20
5. წინა პერიოდის კლასიფიკაციის ცვლილება	22
6. ძირითადი საშუალებები	23
7. მარაგები	24
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	24
10. საწესდებო კაპიტალი	25
11. მიღებული სესხები	25
12. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება, წმინდა	25
13. მიღებული დაფინანსება	26
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
15. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	26
16. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	26
17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	27
18. სხვა საოპერაციო ხარჯები	27
19. მარაგების უსასყიდლოდ გადაცემა	27
20. ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	27
21. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა	28
22. მოგების გადასახადი	28
23. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები	29
24. ფინანსური რისკის მართვა	29
25. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და განხორციელებული ოპერაციები	31
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფს მარაგების სრული ფიზიკური ინვენტარიზაცია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ ჰქონდა დასრულებული. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მივიღეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული თარიღისთვის არსებული მარაგების ნაშთის სისწორეზე, რომელიც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოდგენილია 10,644,389 ლარის ოდენობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ მარაგებთან მიმართებით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიცავს მფლობელის მიერ მშობელ კომპანიაში არაფულადი სახით განხორციელებულ შენატანებს, რომელზეც ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება, მათ შორის:

- *საწესდებო კაპიტალში შეტანილ ძირითად საშუალებებს*

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მფლობელის მიერ არაფულადი სახით სხვადასხვა წლებში საწესდებო კაპიტალში შეტანილ ძირითად საშუალებებზე, რომელთა ღირებულებაც ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 31,623,608. ჩვენ ასევე ვერ მოვიპოვეთ ძირითადი საშუალებების კაპიტალში შეტანის თარიღისთვის რეალური ღირებულებით შეფასების დოკუმენტაცია (ხელმძღვანელობის განმარტებით დოკუმენტაციის დალუქულ არქივში არსებობის გამო) და შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ძირითად საშუალებებთან მიმართებით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

- 2018 და 2017 წლებში შეტანილ შვილობილი კომპანიების 100%-იან წილებს

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება მფლობელის მიერ არაფულადი სახით 2017 წლის 1 ნოემბერს შპს „ქართული ბოსტნეულის“ და შპს „მიწის რეაბილიტაციის სააგენტოს“ 100%-იანი წილების (23,981,210 ლარი და 2,636,519 ლარი შესაბამისად) და 2018 წლის 25 ოქტომბერს შეტანილ შპს „მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის“ 100%-იან წილის (21,756,893 ლარის) ინვესტიციაზე. საწესდებო კაპიტალში შეტანის თარიღში აღნიშნული შვილობილი კომპანიების წმინდა აქტივების რეალური ღირებულების შეფასება არ მომხდარა და შეფასდა მათი საწესდებო კაპიტალის ოდენობებით, რომელიც ჯამურად შეადგენს 48,374,622 ლარს. ჩვენ ვერც ალტერნატიული მეთოდებით მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნულ ოპერაციაზე. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში საწესდებო კაპიტალთან მიმერთებით და კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში დაგროვილი ზარალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 37,067,242 ლარს, რომელიც ჯგუფის კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილია, როგორც „დაგროვილი ზარალი შვილობილი კომპანიის შერწყმის მომენტისათვის“. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება აღნიშნული თანხის სიზუსტესა და კლასიფიკაციის შესაბამისობაზე. აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სხვა შესაბამის ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ჯგუფს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მოუხდენია ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულებით შეფასება და ასევე 2019 წლის განმავლობაში მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღიარება და რეალური ღირებულებით შეფასება, როგორც ეს მოითხოვება ბასს 41-ის მიხედვით. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება ბიოლოგიური აქტივების ნაშთის სისწორეზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულ ან აღურიცხავ ბიოლოგიურ აქტივებთან მიმართებით, ასევე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებლობა ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებისა და ჩვენ მიერ მათზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან არსებითად თანხვედრილი და მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის 2019 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ სქართველოს კანონის მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და კონსოლიდირებული ანგარიშგების საფუძველად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და აუდიტის პროცესში პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოს სამართლიანი წარდგენა.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2020

- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის გელა მღებრიშვილი.

შპს „ნექსია თიეი“-ს სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2020



Closer to you

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	102,505,407	133,545,741
არამატერიალური აქტივები		44,454	45,479
ბიოლოგიური აქტივები		18,933	23,199
ინვესტიციები		3,600	3,600
სულ გრძელვადიანი აქტივები		102,572,394	133,618,019
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	10,643,100	7,944,957
გასაყიდად გამოწვნილი ძირითადი საშუალებები		504,052	877,133
გადახდილი ავანსები		211,253	1,060,066
საგადასახადო აქტივები	12	139,070	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	565,438	1,159,051
ფული და ფულის ექვივალენტები	9	1,517,800	6,959,757
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,580,713	18,000,964
სულ აქტივები		116,153,107	151,618,983
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	373,768,853	373,720,767
გაუნაწილებელი მოგება		(273,789,663)	(233,560,161)
სულ კაპიტალი		99,979,190	140,160,606
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	12,600,000	5,745,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		12,600,000	5,745,000
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		643,887	1,007,995
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	1,046,746
მიღებული დაფინანსება	13	1,081,609	1,081,609
მიღებული სესხები	11	-	2,205,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,848,421	372,027
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,573,917	5,713,377
სულ ვალდებულებები		16,173,917	11,458,377
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		116,153,107	151,618,983

დადასტურებული და ხელმოწერილი, 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი - ნიკოლოზ თოიძე

შენიშვნები 12-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	102,505,407	133,545,741
არამატერიალური აქტივები		44,454	45,479
ბიოლოგიური აქტივები		18,933	23,199
ინვესტიციები		3,600	3,600
სულ გრძელვადიანი აქტივები		102,572,394	133,618,019
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	10,643,100	7,944,957
გასაყიდად გამიზნული ძირითადი საშუალებები		504,052	877,133
გადახდილი ავანსები		211,253	1,060,066
საგადასახადო აქტივები	12	139,070	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	565,438	1,159,051
ფული და ფულის ექვივალენტები	9	1,517,800	6,959,757
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,580,713	18,000,964
სულ აქტივები		116,153,107	151,618,983
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	10	373,768,853	373,720,767
გაუნაწილებელი მოგება		(273,789,663)	(233,560,161)
სულ კაპიტალი		99,979,190	140,160,606
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	12,600,000	5,745,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		12,600,000	5,745,000
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული ავანსები		643,887	1,007,995
საგადასახადო ვალდებულებები	12	-	1,046,746
მიღებული დაფინანსება	13	1,081,609	1,081,609
მიღებული სესხები		-	2,205,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	1,848,421	372,027
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,573,917	5,713,377
სულ ვალდებულებები		16,173,917	11,458,377
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		116,153,107	151,618,983

დადასტურებული და ხელმოწერილი, 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი - ნიკოლოზ თოიძე

შენიშვნები 12-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	15	3,383,182	4,305,590
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	16	(3,690,624)	(4,660,744)
საერთო ზარალი		(307,442)	(355,154)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(8,315,634)	(8,901,917)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(11,918,641)	(12,532,903)
საოპერაციო ზარალი		(20,541,717)	(21,789,974)
მარაგების უსასყიდლოდ მიწოდება	19	(1,672,881)	(21,685,903)
ფინანსური ხარჯი		(971,184)	(1,641,716)
ფინანსური შემოსავალი		145,161	1,056,991
ქონების გადასახადი		(1,234,516)	(1,399,287)
მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(503,485)	(39,439)
მოგება/ (ზარალი) ძირითადი საშუალების გასვლიდან	20	(14,910,208)	(6,377,900)
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	21	(540,672)	2,229,372
მოგება დაბეგვრამდე		(40,229,502)	(49,647,856)
მოგების გადასახადი	22	-	-
წლის წმინდა მოგება		(40,229,502)	(49,647,856)
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი)		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(40,229,502)	(49,647,856)

დადასტურებული და ხელმოწერილი, 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი - ნიკოლოზ თოიძე

შენიშვნები 12-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	15	3,383,182	4,305,590
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები	16	(3,690,624)	(4,660,744)
საერთო ზარალი		(307,442)	(355,154)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(8,315,634)	(8,901,917)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(11,918,641)	(12,532,903)
საოპერაციო ზარალი		(20,541,717)	(21,789,974)
მოგება/ (ზარალი) ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	20	(14,910,208)	(6,377,900)
ფინანსური ხარჯი		(971,184)	(1,641,716)
ფინანსური შემოსავალი		145,161	1,056,991
ქონების გადასახადი		(1,234,516)	(1,399,287)
მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან		(503,485)	(39,439)
მარაგების უსასყიდლოდ მიწოდება	19	(1,672,881)	(21,685,903)
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	21	(540,672)	2,229,372
მოგება დაბეგვრამდე		(40,229,502)	(49,647,856)
მოგების გადასახადი	23	-	-
წლის წმინდა მოგება		(40,229,502)	(49,647,856)
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი)		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(40,229,502)	(49,647,856)

დადასტურებული და ხელმოწერილი, 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი - ნიკოლოზ თოიძე

შენიშვნები 12-31 გვერდებზე წარმოდგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 10)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	335,755,375	(168,457,005)	167,298,370
წლის მოგება	-	(49,647,856)	(49,647,856)
შვილობილი კომპანიის გაუნაწილებელი მოგება	-	(15,455,300)	(15,455,300)
შესყიდვის მომენტისთვის კაპიტალში შენატანი	37,965,392	-	37,965,392
31 დეკემბერი, 2018	373,720,767	(233,560,161)	140,160,606
წლის მოგება	-	(40,229,502)	(40,229,502)
კაპიტალში შენატანი	48,086	-	48,086
31 დეკემბერი, 2019	373,768,853	(273,789,663)	99,979,190

დადასტურებული და ხელმოწერილი, 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი - ნიკოლოზ თოიძე

შენიშვნები 12-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 10)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2017	335,755,375	(168,457,005)	167,298,370
წლის მოგება	-	(49,647,856)	(49,647,856)
შვილობილი კომპანიის გაუნაწილებელი მოგება	-	(15,455,300)	(15,455,300)
შესყიდვის მომენტისთვის	-	-	-
კაპიტალში შენატანი	37,965,392	-	37,965,392
31 დეკემბერი, 2018	373,720,767	(233,560,161)	140,160,606
წლის მოგება	-	(40,229,502)	(40,229,502)
კაპიტალში შენატანი	48,086	-	48,086
31 დეკემბერი, 2019	373,768,853	(273,789,663)	99,979,190

დადასტურებული და ხელმოწერილი, 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი - ნიკოლოზ თოიძე

შენიშვნები 12-31 გვერდებზე წარმოდგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“
 ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	მენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან ძირითადი საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		4,028,417	4,997,120
სხვა მომსახურებებისთვის მიღებული თანხები		2,279	1,971
სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურებიდან მიღებული თანხები		275,920	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფული		(9,387,256)	(8,759,785)
გადახდილი ხელფასები		(4,051,278)	(3,735,544)
გადახდილი გადასახადები		(3,367,525)	(354,506)
საწვავი		(1,712,935)	(1,425,124)
რემონტი		(946,319)	(6,447,904)
იჯარა და უსაფრთხოება		(169,692)	(162,800)
საკომისიოები		(110,387)	(140,503)
მივლინებები		(60,191)	(76,421)
გადახდილი დაზღვევა		(214,611)	(299,292)
სხვა გადახდები		(19,673)	(42,555)
		(15,733,251)	(16,445,343)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა		(3,871,566)	(26,802,046)
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		-	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ფული		10,320,176	7,269,675
სულ ფულადი ნაკადების (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან		6,448,610	(19,532,371)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შეტანები კაპიტალში		-	16,200,000
ბანკის სესხის პროცენტის დასაფარად მიღებული დაფინანსება		26,596	72,329
მიღებული სესხები		13,225,000	12,853,500
დაფარული სესხები		(7,875,000)	(10,100,000)
გადახდილი პროცენტი		(1,671,184)	(1,011,716)
მიღებული პროცენტი		144,971	1,056,708
ქართული ბოსტნეულის შერწყმის თარიღში არსებული ნაშთი		-	876
მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანიის შესყიდვის თარიღში არსებული ფულის ნაშთი		-	105,988
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		3,850,383	19,177,685
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (კლება)		(5,434,258)	(16,800,029)
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი	9	6,959,757	23,785,328
საკურსო სხვაობები		(7,699)	(25,542)
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი	9	1,517,800	6,959,757

დადასტურებული და ხელმოწერილი, 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი - ნიკოლოზ თოიძე

მენიშვნები 12-31 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	მენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან ძირითადი საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		4,028,417	4,997,120
სხვა მომსახურებებისთვის მიღებული თანხები		2,279	1,971
სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურებიდან მიღებული თანხები		275,920	-
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფული		(9,387,256)	(8,759,785)
გადახდილი ხელფასები		(4,051,278)	(3,735,544)
გადახდილი გადასახადები		(3,367,525)	(354,506)
საწვავი		(1,712,935)	(1,425,124)
რემონტი		(946,319)	(6,447,904)
იჯარა და უსაფრთხოება		(169,692)	(162,800)
საკომისიოები		(110,387)	(140,503)
მივლინებები		(60,191)	(76,421)
გადახდილი დაზღვევა		(214,611)	(299,292)
სხვა გადახდები		(19,673)	(42,555)
		(15,733,251)	(16,445,343)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა		(3,871,566)	(26,802,046)
ინვესტიციები შვილობილ საწარმოში		-	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ფული		10,320,176	7,269,675
სულ ფულადი ნაკადების (გადინება)/შემოდინება საინვესტიციო საქმიანობიდან		6,448,610	(19,532,371)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შეტანები კაპიტალში		-	16,200,000
ბანკის სესხის პროცენტის დასაფარად მიღებული დაფინანსება		26,596	72,329
მიღებული სესხები		13,225,000	12,853,500
დაფარული სესხები		(7,875,000)	(10,100,000)
გადახდილი პროცენტი		(1,671,184)	(1,011,716)
მიღებული პროცენტი		144,971	1,056,708
ქართული ბოსტნეულის შერწყმის თარიღში არსებული ნაშთი		-	876
მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანიის შესყიდვის თარიღში არსებული ფულის ნაშთი		-	105,988
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		3,850,383	19,177,685
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა / (კლება)		(5,434,258)	(16,800,029)
ფულადი სახსრების საწყისი ნაშთი	9	6,959,757	23,785,328
საკურსო სხვაობები		(7,699)	(25,542)
ფულადი სახსრების საბოლოო ნაშთი	9	1,517,800	6,959,757

დადასტურებული და ხელმოწერილი, 2020 წლის 30 სექტემბერს ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი - შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი - ნიკოლოზ თოიძე

შენიშვნები 12-31 გვერდებზე წარმოდგენს აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ჯგუფი და მისი საქმიანობა

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჯგუფის რეგისტრირებული ოფისი მდებარეობს ზემო ალექსეევკაში, ისანი-სამგორის რაიონი, თბილისი, საქართველო.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“. ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს სახელმწიფო. ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომსახურება.

2019 წლის დასაწყისში ჯგუფი შედგებოდა ორი კომპანიისგან შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანია“- მშობელი კომპანია და შვილობილი საწარმო - შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია“. 2019 წლის 8 თებერვალს მოხდა ზემოთ აღნიშნული შვილობილი საწარმოს შერწყმა მშობელ კომპანიასთან. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში ჯგუფი მოიცავს მხოლოდ შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიას“ შერწყმული შვილობილი საწარმოს მონაცემებით, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგება მოიცავს შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიას“ და შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანიას“.

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ისეთი ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაცია ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში, არის შედარებით მაღალი ინფლაცია და ძლიერი ეკონომიკური ზრდა.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების ნაკლებობით და სხვა სამართლებრივი თუ ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ბაზრის ლიკვიდურობის შემცირებისა და გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს ჯგუფის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები

ჯგუფმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

2.1 ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე. ამ განსჯის დროს ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, როგორც ჯგუფის მიმდინარე მდგომარეობა და ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ასევე COVID-19 პანდემიის უარყოფითი გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე (შენიშვნა 26). იქიდან გამომდინარე, რომ ჯგუფი შედგება ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ შვილობილი კომპანიებისგან, და საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო, რომლისთვისაც სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას, ასევე იმის გათვალისწინებითაც, რომ ჯგუფს გააჩნია აქტივების და წმინდა კაპიტალის მნიშვნელოვანი ოდენობა, ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით არსებობს საკმარისი რწმუნება, იმის შესახებ რომ ჯგუფი ფუნქციონირებას განაგრძობს მინიმუმ 12 თვის განმავლობაში ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

2.2 ფუნქციონალური და წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო / ლარი	3.2095	3.0701
საშუალო გაცვლითი კურსი	2019	2018
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8192	2.5345
1 ევრო / ლარი	3.1553	2.9913

2.3 კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის ინვესტიციები შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

შვილობილი არის საწარმო, რომელიც ექვემდებარება სხვა საწარმოს კონტროლს. კონტროლი გულისხმობს მშობელი კომპანიის მიერ შვილობილის საოპერაციო და ფინანსური პოლიტიკის მართვის უნარს მისი ოპერაციებიდან სარგებლის მიღების მიზნით.

მეკავშირე არის საწარმო, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი ზეგავლენა. მნიშვნელოვანი ზეგავლენა გულისხმობს შესაძლებლობას, რომ მონაწილეობა მიიღოს ინვესტიციის მიმღები კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო საქმიანობის პოლიტიკის განსაზღვრაში, მაგრამ არ წარმოადგენს კონტროლს ან ერთობლივ კონტროლს აღნიშნულ პოლიტიკაზე.

2019 წლის განმავლობაში ჯგუფი ფლობდა შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სფერო	წილი (%)	ქვეყანა	ინვესტიცია	ჯგუფში შემოსვლის თარიღი
შპს „მარცვლეულის ლოჯისტიკის კომპანია“	სოფლის მეურნეობა	100%	საქართველო	შვილობილი	23 ოქტომბერი 2018

2019 წლის 8 თებერვალს მოხდა აღნიშნული შვილობილი საწარმოს შერწყმა მშობელ კომპანიასთან. აღნიშნული კომპანიის საწესდებო კაპიტალის 100% პარტნიორის ბრძანების საფუძველზე კაპიტალში არაფულადი შენატანის სახით 2018 წლის ბოლოს გადმოეცა შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების“ კომპანიას.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია მაშინ იწყება, როდესაც ჯგუფი კონტროლს მოიპოვებს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შემენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის მოპოვების თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

პირველადი აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა და სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა. თავდაპირველად, ჯგუფი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ აქტივს, იმ შემთხვევაში თუ ფინანსური აქტივი არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, გარიგების თვითღირებულებით

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად.

იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღობვა, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულია იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით. (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს.

სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღიარდება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღიარდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით.

სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც ჯგუფი ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდინებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა.

იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა) სავაჭრო მოთხოვნებისთვის, გაცემული სესხებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (“ECL”) გამოსათვლელად. შესაბამისად ჯგუფი არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს. სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფს შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

	< 30 დღე	30-60 დღე	61-90 დღე	91-180 დღე	181-360 დღე	>360
რეზერვი %	0%	2%	5%	25%	50%	100%

დეტალები ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივების და საკრედიტო რისკთან დაკავშირებით მოცემულია 7-ე შენიშვნაში. სავაჭრო მოთხოვნების და გაუფასურების რეზერვის შესახებ ინფორმაცია მოცემულია 8-ე შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში.

ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ივალდებულებები, გარდა სესხის და ფინანსური გარანტიებისა, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ან სამართლიანი ღირებულებით, როდესაც მათ ფლობენ სავაჭროდ, ან დერივატიულ ინსტრუმენტებად, ან გამოიყენება სამართლიანი ღირებულებით აღნიშვნა.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ვალდებულების გასტუმრება, გაუქმება ან ვადის ამოწურვა.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება მოხდება ახლით, იგივე მსესხებლისგან, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დაკორექტირდება საგრძნობლად, მსგავსი გადაცვლა ან კორექტირება აღირიცხვება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, სხვაობა შესაბამის მიმდინარე ღირებულებებს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შეზღუდული ნაშთები შედის ფულად საშუალებებში ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივი.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. გადახდილი ავანსები კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც ჯგუფი მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

მიწა არ იცვითება. ცვეთის დარიცხვა სხვადასხვა ჯგუფის აქტივებზე ხდება სხვადასხვა მეთოდით:

თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იყოფა სიმძლავრეების მიხედვით და სხვადასხვა სიმძლავრის ტექნიკისთვის სხვადასხვა მოსალოდნელი მოტოსაათების რაოდენობა მიიჩნევა სასარგებლო მომსახურების ვადად (საფუძვლად აღებულია ASAE (American Society of Agricultural Engineers) სტანდარტები, (სტანდარტული ფორმულა), რომელიც ეფუძნება 30-წლიან სტატისტიკურ დაკვირვებებს). შემდგომ ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება ფაქტობრივად ნამუშევარი მოტოსაათების პროპორციულად.

რაც შეეხება დანარჩენ ძირითად საშუალებებს, გარდა მიწისა, აქ გამოიყენება შემცირებადი ნაშთის მეთოდი (კერძოდ 2014 წლიდან გამოყენებულია იმ დროისათვის არსებული ე.წ. საგადასახადო ცვეთის ჯგუფების პროცენტები).

სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)

მიწა	არ იცვითება
მიმდინარე მშენებლობა	არ იცვითება
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა დანადგარები	5-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-12

ბიოლოგიური აქტივები

ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასებულია გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით.

ბიოლოგიური აქტივის გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისა და ასევე გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ჩართულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

ყველა ხარჯი, რომელიც გაწეულია ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებით (გარდა ბიოლოგიური აქტივის შეძენის ფასის) ჩართულია იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა.

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეფასება ხდება ნაყოფის მიღების მომენტისათვის არსებული გაყიდვისათვის საჭირო შეფასებული დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით, რომლის შემდეგაც მიღებული პროდუქციის აღრიცხვა ხდება ბასს 2 – „მარაგების“ მიხედვით.

ბიოლოგიურ აქტივთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 8-ში.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებულ მისაღები ანაზღაურების მიხედვით და არ მოიცავს მესამე პირების სახელით მისაღებ თანხებს. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც მოხდება კლიენტისთვის პროდუქტზე საკუთრების გადაცემა ან მომსახურების გაწევა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

შემოსავლის აღიარების მიზნებისთვის, ფასს 15-ის შესაბამისად, ყოველ ხელშეკრულებაზე ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო ჩვეულებრივ იჯარად. არსებობს აღიარების გამოწვევები მოკლევადიანი იჯარებისთვის (იჯარა, რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ჯგუფმა გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელიშევა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

მოგების გადასახადი

გადასახადები წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მარაგები

მარაგები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები აღიარდება, როდესაც კომპანიას დაწყებული აქვს აღნიშნული აქტივების რეალიზაციისთვის მზადება და მოსალოდნელია, მათი 12 თვეზე ნაკლებ ვადაში რეალიზაცია.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები აღირიცხება ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და კლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. ჯგუფის მფლობელები ახორციელებენ ცვლილებებს ჯგუფის წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ). კაპიტალის შევსება ხორციელდება როგორც ფულადი, ასევე არაფულადი სახით (სხვადასხვა აქტივების სახით).

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი

თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით.

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. ჯგუფი აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას. დეტალური ინფორმაცია ჯგუფის გაუფასურების რეზერვებზე მოცემულია შენიშვნა 7-სა და 8-ში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური გარკვეული ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსასაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასული და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

5. წინა პერიოდის კლასიფიკაციის ცვლილება

კლასიფიკაციის ცვლილებას დაექვემდებარა ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება, რათა უკეთესად მომხდარიყო პრეზენტაცია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ეფექტი სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე

2018	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,003,373 (7,675,918)	1,225,999 (1,225,999)	2,229,372 (8,901,917)

ეფექტი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

31-დეკ-18	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხები
ძირითადი საშუალებები	133,568,940	(23,199)	133,545,741
ბიოლოგიური აქტივები	-	23,199	23,199

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება						
31 დეკემბერი, 2017	1,015,935	79,478	23,783,059	198,366,047	719,021	223,963,540
შემენა	-	15,829	34,562	9,294,919	29,468	9,374,778
ტრანსფერი	-	-	-	(1,272,363)	-	(1,272,363)
ტრანსფერი ბიზნესის გაერთიანების შედეგად	1,149,103	-	943,337	445,676	22,810	2,560,926
ჩამოწერა	-	-	-	(228,439)	-	(228,439)
რეალიზაცია	-	-	-	(16,650,561)	-	(16,650,561)
31 დეკემბერი, 2018	2,165,038	95,307	24,760,958	189,955,279	771,299	217,747,881
შემენა	-	5,882	4,701	2,049,040	93,519	2,153,142
ტრანსფერი	-	-	-	(689,439)	-	(689,439)
რეალიზაცია	-	(978)	-	(31,358,110)	-	(31,359,088)
31 დეკემბერი, 2019	2,165,038	100,211	24,765,659	159,956,770	864,818	187,852,496
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2017	-	-	(5,410,648)	(71,290,489)	(419,145)	(77,120,282)
წლის ცვეთა	-	-	(922,948)	(10,320,080)	(57,064)	(11,300,092)
წლის გაუფასურება	-	-	-	(182,507)	-	(182,507)
ტრანსფერი	-	-	-	395,230	-	395,230
რეალიზაცია	-	-	-	4,005,511	-	4,005,511
31 დეკემბერი, 2018	-	-	(6,333,596)	(77,392,335)	(476,209)	(84,202,140)
წლის ცვეთა	-	(8,754)	(904,186)	(8,045,268)	(58,296)	(9,016,504)
წლის გაუფასურება	-	-	-	(16,146)	-	(16,146)
ტრანსფერი	-	-	-	185,387	-	185,387
რეალიზაცია	-	-	-	7,702,314	-	7,702,314
31 დეკემბერი, 2019	-	(8,754)	(7,237,782)	(77,566,048)	(534,505)	(85,347,089)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2017	1,015,935	79,478	18,372,411	127,075,558	299,876	146,843,258
31 დეკემბერი, 2018	2,165,038	95,307	18,427,362	112,562,944	295,090	133,545,741
31 დეკემბერი, 2019	2,165,038	91,457	17,527,877	82,390,722	330,313	102,505,407

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ჯგუფის მანქანა-დანადგარები დატვირთულია გირავნობით საქართველოს ბანკისგან აღებული სესხის ფარგლებში, თუმცა მანქანა-დანადგარების თანხა მნიშვნელოვნად აღემატება სესხის თანხას, აქედან გამომდინარე, როდესაც ჯგუფი გადაწყვეტს გარკვეული მანქანა-დანადგარების რეალიზაციას, ბანკს წერილობით აცნობებს კონკრეტული აქტივების სიას, რომელზეც შემდეგ საქართველოს ბანკი აუქმებს გირავნობის ვალდებულებას.

7. მარაგები

მარაგები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სათადარიგო ნაწილები	9,722,242	6,677,381
სასოფლო სამეურნეო პროდუქცია	3,616,588	3,652,894
საწვავი	169,433	158,828
სხვა მარაგები	67,170	95,888
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(2,932,333)	(2,640,034)
სულ მარაგები	10,643,100	7,944,957

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში აღიარებული მარაგების რაოდენობა 2019 წლის განმავლობაში შეადგენდა 2,628,400 ლარს.

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო მოთხოვნები	3,125,878	3,264,818
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(2,560,440)	(2,105,767)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	565,438	1,159,051
გაუფასურების რეზერვის მოძრაობა	2019	2018
ნაშთი წლის დასაწყისში	(2,105,767)	(1,419,316)
ცვლილება წლის განმავლობაში	(454,673)	(686,451)
ნაშთი წლის ბოლოს	(2,560,440)	(2,105,767)

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება რეზიდენტ ბანკებში ეროვნულ ვალუტაში არსებული თანხისგან 1,517,800 ლარი (2018: 6,959,757 ლარი)

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია, როგორც არასარიცხო.

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. საწესდებო კაპიტალი

თარიღი	არაფულადი შენატანი კაპიტალში	დანიშნულება
3/29/2019	11,123	ავტომანქანა FORD FIESTA
3/29/2019	14,562	ავტომანქანა RENAULT DUSTER
3/29/2019	15,472	ავტომანქანა RENAULT DUSTER
11/29/2019	6,929	ავტომანქანა KIA CERATO
	48,086	

2019 წლის 31 დეკემბერს ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 373,768,853 ლარს (2018:373,720,767 ლარი), რომელიც 100%-ით ეკუთვნის იურიდიულ პირს - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.

2019 და 2018 წელს ჯგუფმა, რომელიც თავის მხრივ ეკუთვნის სოფლის განვითარების სააგენტოს, განიცადა ფინანსური ზარალი, შესაბამისად, ჯგუფს დივიდენდები არ გაუცია.

11. მიღებული სესხები

სესხები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ორგანიზაცია	ხელშეკრულები ს #	სესხის გაცემის თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო სარგებელი	ვალუ ტა	31-დეკ-19	31-დეკ-18
სს საქართველოს ბანკი	GCLCA00028808 3-5525179	5/3/2018	1/16/2019	2%	GEL	-	1,250,000
სს საქართველოს ბანკი	GCLCLA0002587 78-5246494	2/1/2018	2/19/2021	12%	GEL	1,500,000	1,500,000
სს საქართველოს ბანკი	GCLCA00037334 4-6331161	8/27/2019	8/20/2021	15%	GEL	11,100,000	-
სს აკურა	N/A	11/8/2017	8/29/2019	14%	GEL	-	5,200,000
სულ მიღებული სესხები, მათ შორის:						12,630,867	7,950,000
ძირი						12,600,000	7,250,000
პროცენტი						-	700,000
						12,600,000	7,950,000

12. საგადასახადო აქტივი/ვალდებულება, წმინდა

წმინდა საგადასახადო აქტივი/ვალდებულება 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
საგადასახადო აქტივი	5,468,341	4,424,478
დღგ	5,386,165	4,341,038
მოგება	82,176	83,440
საგადასახადო ვალდებულება	5,329,271	5,471,224
საშემოსავლო	2,135,562	1,350,517
ქონება	3,012,477	4,117,404
სხვა	181,232	3,303
სულ წმინდა საგადასახადო აქტივები / (ვალდებულებები)	139,070	(1,046,746)

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

13. მიღებული დაფინანსება

2017 წელს ჯგუფმა „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სადოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსგან“ დაფინანსების სახით მიიღო 3,556,440 ლარი ძირითადი საშუალებების შესაძენად. ჯგუფმა 2018 წელს შეისყიდა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ უსასყიდლოდ გადასცა 2,474,831 ლარის ღირებულების ტრაქტორები.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს დარჩა აუთვისებელი თანხა - 1,081,609 ლარი, რომლის ათვისების შესახებაც დამატებით განკარგულება ჯერ არ მიუღია.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო ვალდებულებები	1,654,667	183,882
სახელფასო ვალდებულებები	193,754	188,145
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,848,421	372,027

15. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

შემოსავალი 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2,018
შემოსავალი მომსახურებიდან	3,383,182	4,262,179
შემოსავალი რეალიზაციიდან	-	43,411
სულ შემოსავალი	3,383,182	4,305,590

ჯგუფი საქართველოს მასშტაბით ფლობს სერვისცენტრებს, სადაც განთავსებულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სატრაქტორო ბრიგადები, რომელთა მეშვეობითაც ჯგუფი ახორციელებს 80-ზე მეტი სახეობის სხვადასხვა აგრო-ოპერაციას.

16. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2,018
ცვეთა	2,166,107	3,016,117
საწვავი	937,807	840,774
ხელფასი	567,032	744,205
სხვა ხარჯი	19,678	59,648
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3,690,624	4,660,744

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	4,558,321	3,773,953
ცვეთა და ამორტიზაცია	976,737	1,437,760
საწვავის ხარჯები	474,681	662,397
ავტომობილის შენახვის ხარჯი	464,359	553,139
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	454,673	686,451
მარაგების გაუფასურება	292,299	539,548
მიწოდების ხარჯები	171,558	265,700
საბანკო ხარჯები	110,542	140,556
ელექტროენერგია, გაზი, წყალი, დასუფთავება (საერთო-ადმინისტრაციული)	162,639	138,040
საიჯარო ქირა	147,621	134,002
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	48,474	124,011
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	35,103	28,532
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	418,627	417,828
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8,315,634	8,901,917

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2,018
ცვეთა	5,873,660	6,885,578
რემონტი	6,044,981	5,647,325
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	11,918,641	12,532,903

სხვა საოპერაციო ხარჯები შედგება მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის ხარჯებისგან და იმ მანქანა-დანადგარების ცვეთისგან, რომლებიც გახარჯული მოტორსათების მიხედვით არ დაითვლება.

19. მარაგების უსასყიდლოდ გადაცემა

მარაგების უსასყიდლოდ გადაცემა მოიცავს 2019 წლის 26 ივლისს გაფორმებულ ჩუქების ხელშეკრულების თანახმად საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის უსასყიდლოდ აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ გასატარებელი ღონისძიებებისათვის შეძენილი 1,672,881 ლარის ღირებულების 2,000 ცალი შემასხურებელი აგრეგატის გადაცემას.

20. ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან

ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2,018
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	8,516,669	6,267,150
საბალანსო ღირებულება (აუქციონზე რეალიზებული)	(28,751,270)	(16,114,400)
საბალანსო ღირებულება (უსასყიდლოდ მიწოდებული)	(2,559,544)	(536,161)
დაგროვილი ცვეთა	7,883,937	4,005,511
რეალიზებული ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულება	(23,426,877)	(12,645,050)
სულ ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან	(14,910,208)	(6,377,900)

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

21. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი) 2019 და 2018 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	2019	2018
შემოსავალი მიღებული დაფინანსებიდან	-	2,474,831
საურავი საგადასახადო ვალდებულებებზე	(177,903)	-
სხვა მოთხოვნების ჩამოწერა	(163,807)	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	(46,329)	(228,439)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	(16,146)	(182,507)
სხვა შემოსავალი / (ხარჯი)	(136,487)	165,487
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(540,672)	2,229,372

22. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა.

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

მოგების გადასახადი 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა ნულს (2019: ნული).

23. პირობითი ვალდებულებები და საოპერაციო რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს.

ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების აღრიცხვის დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არსებობს შესაბამისი რეზერვი).

24. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა შემცირებული იქნას საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები:	შენიშვნა	31-დეკ-19	31-დეკ-18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	565,438	1,159,051
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	1,517,800	6,959,757
სულ საკრედიტო რისკთან დაკავშირებული ფინანსური აქტივები		2,083,238	8,118,808

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) მისაღებ და გადასახდელ პროცენტებთან მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

24. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიის აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში, თუმცა აღნიშნული ტრანზაქციები და უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებების ბალანსი არაარსებითია და შესაბამისად სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ მოგება ან ზარალის მგრძნობელობაც არაარსებითია.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცურავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე. ჯგუფი არ იყენებს რაიმე წარმოებულ ფასიან ქაღალდებს საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, როდესაც ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეულ ნაწილს ფიქსირებული განაკვეთი აქვს და შესაბამისად, რისკი არის შეზღუდული.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადების ანალიზი 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოცემულია ქვემოთ:

31-დეკ-19	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	565,438	-	-	565,438
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,517,800	-	-	1,517,800
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	-	12,600,000	-	12,600,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,848,421	-	-	1,848,421
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	3,931,659	12,600,000	-	16,531,659

31-დეკ-18	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,159,051	-	-	1,159,051
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,959,757	-	-	6,959,757
ფინანსური ვალდებულებები				
მიღებული სესხები	2,205,000	5,745,000	-	7,950,000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	372,027	-	-	372,027
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	10,695,835	5,745,000	-	16,440,835

შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

25. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და განხორციელებული ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს:

- (a) მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც ჯგუფს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები სადაც ჯგუფი წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული ჯგუფი.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია ქვემოთ:

ურთიერთობის სახე		31-დეკ-19	31-დეკ-18
მიღებული სესხები			
სს აკურა	საერთო კონტროლის ქვეშ	-	5,200,000

ურთიერთობის სახე		31-დეკ-19	31-დეკ-18
ფინანსური ხარჯი			
სს აკურა	საერთო კონტროლის ქვეშ	415,973	630,000

მენეჯმენტის ანაზღაურება	2019	2018
ხელფასები და სხვა თანამშრომელთა მოკლევადიანი სარგებელი	426,186	370,497

26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ხელმძღვანელობამ ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დაამტკიცა 2020 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წლის დასაწყისში მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი ვირუსი COVID-19 (კორონავირუსი), რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო, საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 2 თვით. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აღნიშნულ პერიოდში ჯგუფი გადასული იყო მუშაობის ე.წ „დისტანციურ რეჟიმზე“. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ ჯგუფი დაუბრუნდა ჩვეულ ფუნქციონირებას და განაგრძო მუშაობა ჩვეულ რეჟიმში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდში არ გამოვლენილა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომელიც უნდა აისახოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება -
საქმიანობის მიმოხილვა

შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის
და სერვისების კომპანია

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის



სარჩევი

ჯგუფის შესახებ.....	3
საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა.....	5
განვითარების გეგმები.....	5
ინფორმაცია ფილიალების/სერვის-ცენტრების საქმიანობის შესახებ	6
კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	7
მნიშვნელოვანი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	7
წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები..	8
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	9

ჯგუფის შესახებ

ანგარიშგების წელს საწარმოთა ჯგუფი წარმოდგენილი იყო რამდენიმე სუბიექტის სახით:

- მშობელი საწარმო - შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია;
- შვილობილი საწარმო - შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია.

საბოლოოდ, მოხდა არსებული შვილობილი კომპანიის შერწყმა მშობელ საწარმოსთან.

მშობელი კომპანია - შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია - შეიქმნა 2009 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით. საწარმოს შექმნის საფუძველს წარმოადგენს მაშინდელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 29 დეკემბრის N1-1/2929 ბრძანება, რომელითაც კომპანიის სახელწოდება განისაზღვრა როგორც შპს „მექანიზატორი“.

2010 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების შედეგად საწარმოს წილის 100% გადაეცა სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციას“, 2012 წელს კი კომპანიის წილის 100% გადაეცა ა(ა)იპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდს“ (შემდგომში ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო) რომელიც დღემდე წარმოადგენს კომპანიის ერთადერთ პარტნიორს.

პარტნიორის 2017 წლის 01 ნოემბრის N 1-2/397 ბრძანების საფუძველზე შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიას, კაპიტალში შეტანის გზით, გადაეცა შპს მიწის რეაბილიტაციის სააგენტოსა და შპს ქართული ბოსტნეულის 100% წილები. აღნიშნული ცვლილების შედეგად ჯგუფი ჩამოყალიბდა როგორც მშობელი საწარმო (შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია) და ორი შვილობილი შპს მიწის რეაბილიტაციის სააგენტოსა და შპს ქართული ბოსტნეულის სახით. 2018 წლის მარტის თვეში განხორციელდა ორივე შვილობილი კომპანიის შერწყმა მშობელ საწარმოსთან. ხოლო პარტნიორის 2018 წლის 18 ოქტომბრის N1-2/426 ბრძანებით კვლავ განხორციელდა ცვლილება შპს სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის კაპიტალში და საწარმოს გადაეცა შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის საწესდებო კაპიტალის 100%. ეს უკანასკნელი ჯგუფის წევრი იყო 2019 წლის 8 თებერვლამდე (შემდგომ მოხდა შერწყმის ოპერაცია მშობელ საწარმოსთან).

მშობელი საწარმო ბაზარზე ოპერირებს 2010 წლიდან და დღეისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) გააჩნია 5-7 ერთეული თვითმავალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და შესაბამისი იმპლემენტებისაგან დაკომპლექტებული სატრაქტორო ბრიგადები. საწარმოს საოპერაციო საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო სერვისის მიწოდება ფერმერებისთვის სოფლის მეურნეობის დარგში.

საწარმოთა ჯგუფის მეორე წევრის - შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანიის - ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა გამოცდა. ეს მიმართულება გულისხმობს მარცვლეული კულტურებისა (ხორბალი, ქერი) და კარტოფილის სხვადასხვა ჯიშების ადგილობრივ პირობებში გამოცდას. ამ მიზნით შერჩეულია რამოდენიმე ლოკაცია ქვეყნის მასშტაბით, სადაც მიმდინარეობს შესაბამის პროცესები. ადგილმდებარეობების შერჩევის დროს ძირითადი ყურადღება გამახვილებულია გარემო პირობების თავისებურებების და მახასიათებლების განსხვავებულობაზე.

მეთოდოლოგიის თანახმად სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშების გამოცდა ორ ძირითად ეტაპს მოიცავს:

- საკონკურსო ჯიშთა გამოცდა;
- დაწინაურებული ჯიშების საწარმოო გამოცდა.

საკონკურსო ჯიშთა გამოცდის ეტაპი ითვალისწინებს მცირე ფართობზე (მაგალითად 100 მ²) რამდენიმე სხვადასხვა ჯიშის შერეულ ჯგუფებად დათესვას და აგროციკლის მთელ პერიოდზე დაკვირვებას და ნიმუშების აღებას. ამ შემთხვევაში ნიმუშები აიღება რამდენჯერმე, აღმოცენებიდან მოსავლის საბოლოო აღებამდე პერიოდში. კომპეტენტური თანამშრომლები აკვირდებიან არამარტო მიღებული მოსავლის საბოლოო სახეს, ასევე თვითონ აღმოცენების პროცესს, აღმოცენებული მცენარის სიჯანსაღეს, გამძლეობას, ზრდის პროცესს და ყოველივეს გათვალისწინებით შესაბამისი ინფორმაციის გააანალიზების შედეგად დადებით რეკომენდაციას აძლევენ დაწინაურებულ ჯიშებს.

მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი არის საწარმოო ჯიშთა გამოცდა. ეტაპი გულისხმობს რეალური წარმოების პროცესში გამოიცადოს პირველ ეტაპზე დაწინაურებული ჯიშები. ამ შემთხვევაში იზრდება ნათესი ფართობი და მოწმდება გაიმეორებს თუ არა დასაკვირვებელი ჯიში იმავე მახასიათებლებს, რაც გამოავლინა მცირე ფართობებზე მისმა გამოცდამ. დაწინაურებული ჯიშები გამოიცდება 2 განმეორების გათვალისწინებით არანაკლებ 2 ჰა ფართობზე იმ მიზნობრივ გეოგრაფიულ არეალში, სადაც გათვალისწინებულია მათი გავრცელება. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კულტურამ გაიაროს ეს ეტაპიც, ვინაიდან მცირე მასშტაბზე მიღებული შედეგების პროპორციული გავრცელება რეალური საწარმოო დანიშნულების სიდიდის ფართობებზე არ არის გამართლებული. ამ შემთხვევაში შესაძლოა საპროგნოზო შედეგები მნიშვნელოვნად შეიცვალოს.

რამდენადაც მიმდინარე თარიღისათვის შპს მარცვლეულის ლოგისტიკის კომპანია უკვე აღარ წარმოადგენს ცალკე იურიდიულ პირს და განხორციელდა მისი შერწყმა მშობელ საწარმოსთან, მისი საქმიანობა შენარჩუნებულია მშობელი საწარმოს ერთ-ერთი პროექტის სახით.

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

განვითარების გეგმები

საწარმოო სიმძლავრეების გასხვისება

მშობელი საწარმო ელექტრონული აუქციონის წესით ყიდის მფლობელობაში არსებულ აქტივებს. პროცესი დაწყებულია 2017 წლიდან და დღესაც მიმდინარეობს აქტიურად. მიზანი არის ოპტიმალური ტექნო-პარკის შენარჩუნება და არასაჭირო ხარჯების შემცირება (მათ შორის ადმინისტრაციული მიმართულებით).

აქტივების რეალიზაციის პროცესი ხორციელდება შემდეგი სახით:

- რეალიზაცია მიმდინარეობს ეტაპობრივად იმ პრინციპის დაცვით, რომ პირველ ეტაპზე გასასხვისებლად შეირჩეს ნაკლებად დატვირთული და დაზიანებული აქტივები.
- სარეალიზაციოდ გატანამდე საბაზრო ფასის განსასაზღვრად ხდება აქტივების შეფასება ტენდერით გამოვლენილი გამარჯვებული შემფასებლის მიერ.
- შერჩეული და შეფასებული აქტივები განთავსდება საჯარო ელექტრონულ აუქციონზე (ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონული აუქციონი - eauction.ge). ვაჭრობის საწყისი ფასი განისაზღვრება შემფასებლის მიერ დადგენილი საბაზრო ფასით.

გათვალისწინებულია გამწევი ტექნიკის პირობადადებული რეალიზება. ასეთ შემთხვევაში რეალიზებულ ტექნიკაზე ხდება უფლებრივი შეზღუდვა, რაც გამორიცხავს მათი ქვეყნის გარეთ გადინებას არანაკლებ 3 წლის ვადით. აღნიშნული შეზღუდვის მიზანია ქვეყანაში ტექნო-პარკის შენარჩუნება და მშობელი საწარმოს თავდაპირველი შექმნის იდეის შესრულება. სამწუხაროდ ასეთი უფლებრივი შეზღუდვა ვერ წესდება მისაბმელ აგრეგატებზე, ვინაიდან მათ არ გააჩნიათ ისეთი იდენტიფიკატორი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ამგვარი კონტროლის განხორციელებისა.

გათვალისწინებულია ჯგუფის საწარმოო სიმძლავრეების ეტაპობრივი გადასვლა კერძო სექტორში, ისე, რომ ფერმერთათვის მექანიზაციის სერვისებზე წვდომა არ შეიზღუდოს. აღნიშნული პროცესი შესაძლოა 2-3 წელი გაგრძელდეს, აქტივების გასხვისების შედეგად კომპანია აგენერირებს მნიშვნელოვან თანხებს. ამასთან ხორციელდება იმ აქტივების გასხვისება, რომლებიც კომპანიის მომგებიანობას ვერ უზრუნველყოფს.

ჯგუფის განვითარების სხვა მიმართულებები

ჯგუფის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთა საკონკურსო და საწარმოო გამოცდა, სათესლე მასალის წარმოება. ამჟამად ჯგუფს ამ საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სიმძლავრეები გააჩნია. ეტაპობრივად, ჯიშთა გამოცდა და სათესლე მასალების კომერციული წარმოება ჯგუფისთვის შემოსავლების უმნიშვნელოვანესი წყარო გახდება.

ინფორმაცია ფილიალების/სერვის-ცენტრების საქმიანობის შესახებ

საწარმოთა ჯგუფში შემავალ კომპანიებს არ გააჩნიათ ფილიალები. მშობელი კომპანია წარმოდგენილია რეგიონალური სერვის-ცენტრების სახით და ერთი ცენტრალური ბაზით თბილისში, ორხევის დასახლებაში. გარდა ამისა მცირე სასაწყობო ბაზის ტიპის ლოკაციები მდებარეობს ახალქალაქსა და ხურველეთში.

ინფორმაცია რეგიონალური სერვის-ცენტრები მდებარეობის შესახებ:

- მარნეულის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა ქალაქი მარნეული.
- ბოლნისის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა ბოლნისი, სოფელი ცურტავი.
- დედოფლისწყაროს სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა დედოფლისწყარო, სოფელი სამრეკლო.
- გურჯაანის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა გურჯაანი, სოფელი ჩალაუბანი, "მოჭრილი გორა".
- კასპის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა კასპი, სოფელი რენე.
- ქარელის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა ქარელი, სოფელი მოხისი.
- ახალციხის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა ახალციხე, სოფელი კლდე.
- ზესტაფონის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა ზესტაფონი, სოფელი არგვეთა.
- სამტრედიის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა ქალაქი სამტრედია.
- აბაშის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა აბაშა, სოფელი ნორიო.
- ამბროლაურის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა ქალაქი ამბროლაური, ქუჩა ვაჟა-ფშაველა.
- ოზურგეთის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა მუნიციპალიტეტი ოზურგეთი, სოფელი მერია.
- ჩაქვის სერვის-ცენტრი; ადგილმდებარეობა ქობულეთი, დაბა ჩაქვი.

სერვის-ცენტრები, თავის მხრივ, დაკომპლექტებულია სატრაქტორო ბრიგადებით, რომლებიც რაიონებშია განაწილებული. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის კონცენტრაციის ხარისხი დამოკიდებულია რეგიონის სამუშაო პოტენციალზე. მიმდინარე მდგომარეობით

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს 80-მდე დასახელების აგრო-ოპერაციას. ოპერაციების სახეობები მოიცავს პრაქტიკულად სრულ ციკლს მიწის დამუშავებიდან მოსავლის აღება-დაბინავებამდე.

მშობელი საწარმოს რეგიონალური ლოკაციებს გააჩნიათ მცირე სარემონტო სამუშაოების ჩატარებისთვის შესაბამისი ტექნიკური ბაზა. ასევე ადგილზე განთავსებულია სასაწყობე მეურნეობები, რაც მთლიანობაში ერთიან ლოგისტიკურ ქსელს ქმნის ქვეყნის მასშტაბით. ადმინისტრაციული ფუნქციებისათვის ყველა ლოკაციაზე არის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციის არხები. აქვე ხდება კონსულტაციების გაწევა ფერმერებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

მიუხედავად ფართო შესაძლებლობებისა, დღეისათვის მნიშვნელოვნად არის შემცირებული ხსენებული აქტივობები, ვინაიდან ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიამ საჯარო აუქციონის წესით გაასხვისა დაუტვირთავი საწარმოო სიმძლავრეების საკმაოდ დიდი ნაწილი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფი არ ახორციელებს კვლევებისა და განვითარების სფეროში რაიმე სახის ღონისძიებებს.

მნიშვნელოვანი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

დაარსების დღიდან მშობელ კომპანიას არ გამოუმუშავებია მოგება. პირველ რიგში კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ მოგების მიღება არც წარმოადგენდა კომპანიის დაარსების უპირველეს მიზანს. ფირმის მიზანია ხელი შეუწყოს სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში და უზრუნველყოს თანამედროვე მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების თავისუფალი წვდომა. დღევანდელი მდგომარეობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომპანიას ბევრი წარმატებული ნაბიჯი აქვს გადადგმული ამ მიმართულებით და მიმდინარე ეტაპზეც აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. ამას მოწმობს ტექნიკის გასხვისების გამჭვირვალე და მოსახერხებელი პროცედურები. ასევე, კომპანია თანამშრომლობს სალიზინგო კომპანიებთან და ჩართულია შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტშიც (პროექტს ახორციელებს ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო - შპს სოფლის

მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიის პარტნიორი). ეს ყოველივე კერძო სექტორისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომს ხდის ტექნიკის შეძენას.

კომპანიის მუდმივი ზარალიანობა განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით. პირველ რიგში ხაზგასასმელია ცვეთის ხარჯი. რამდენადაც კომპანიის ტექნო-პარკი დაკომპლექტდა ძვირადღირებული ტექნიკით, მათი ფინანსური ცვეთის ხარჯი საკმაოდ მაღალია და ყოველწლიური ზარალიანობის მნიშვნელოვანი მდგენელია. კერძოდ, 2019 წლის ჯგუფის საერთო ფინანსურ შედეგში მონაწილეობს 9,1 მლნ ლარამდე სიდიდით.

ზოგ შემთხვევაში მშობელი საწარმო ახორციელებს სხვადასხვა აქტივების უსასყიდლოდ მიწოდებას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული შენიშვნა # 20 მოიცავს ასეთი ტიპის აქტივების გადაცემას. უსასყიდლოდ მიწოდებული აქტივების ძირითადი ნაწილი მოდის მფლობელის მიერ კაპიტალში შემოტანილი მიზნობრივი სახსრებით განხორციელებული შესყიდვებისა და შემდგომში მათი სხვადასხვა უწყებებზე უსასყიდლო ფორმით გადაცემაზე (პროექტების ინიცირება ხდება მთავრობის შესაბამისი განკარგულებებით). ეს ფაქტორი, ცხადია უარყოფითად ისახება კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში ხსენებული სახის ოპერაციების შედეგად ჯგუფის ზარალი გაიზარდა 3.7 მლნ ლარით, საიდანაც 1.7 მლნ ლარი წარმოადგენს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების ფარგლებში მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე განხორციელებული 2000 ერთეული შემასხურებელი აგრეგატის გადაცემას; ხოლო დანარჩენი 2 მლნ ლარი არის ჯგუფის ბალანსზე რიცხული სხვადასხვა მოძრავი აქტივების (ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა) გადაცემას სახელმწიფოზე.

ზარალიანობის კიდევ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს რეალიზებული ძირითადი საშუალებები. საჯარო ღია აუქციონის წესით გაყიდული აქტივები (რომელთა აუქციონზე განთავსებისა და გაყიდვის წესიც განსაზღვრულია პარტნიორის კრების ოქმის საფუძველზე) ძირითადად იყიდება უფრო დაბალი ღირებულებით, ვიდრე მათი ნარჩენი საბალანსო ღირებულებაა. ჯამურად 2019 წელს ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად კომპანიის ზარალი გაიზარდა 14.9 მლნ ლარით.

განხილული მიზეზები და გარემოებები არიან წამყვანი ფაქტორები უარყოფითი ფინანსური შედეგების რამაც ჯამში 40 მლნ ლარის ზარალიდან 25,7 მლნ ლარი შეადგინა.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მარაგების ნაშთები კორექტირებულია შესაბამისი რეზერვით, როგორც ამას ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. მშობელი საწარმო სწავლობს ჯგუფში შემავალი

საწარმოების უმოძრაო მარაგების სიდიდეს და ქმნის შესაბამის რეზერვებს. ასევე, ყოველ წელს ტარდება ინვენტარიზაცია, რათა შემოწმდეს არსებული აქტივების ფაქტობრივი მდგომარეობა და შედარდეს საბუღალტრო ჩანაწერებთან. ამ მიმართულებით ბოლო ინვენტარიზაციის პროცესი მოიცავს ჯგუფის აქტივების შემოწმებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუმცა მმართველობის ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის დასრულებული არ არის. ძირითადი შეფერხება გამოწვეულია პანდემიური პროცესების გამო, რამაც საკმაოდ გააჭიანურა და დროში გაწელა სამუშაოები. თუმცა კომპანიის მხრიდან შეიქმნა შესაბამისი რეზერვი უმოძრაო მარაგებისთვის (როგორც ამას ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები). 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ასეთი რეზერვი შედგებოდა 2,6 მლნ ლარისგან, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ანალოგიური მაჩვენებელი - 2,9 მლნ ლარისგან (კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შენიშვნა #7).

გამომდინარე ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის სპეციფიკიდან (რაც გულისხმობს ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო სერვისის მიწოდებას), მშობელ საწარმოს ურთიერთობა უწევს სერვისის მომხმარებლების საკმაოდ დიდ რაოდენობასთან. დებიტორული დავალიანება გენერირდება დიდი რაოდენობის კლიენტებისგან, სადაც ერთეულის დავალიანება შესაძლოა არ იყოს არსებითად მაღალი. არსებული დავალიანების გაფანტულობის ეს მაჩვენებელი ართულებს ამოღების პოლიტიკას და ხანდაზმულს ხდის უდიდეს ნაწილს. ამის გამო ჯგუფს უწევს შექმნას საკმაოდ დიდი რეზერვი უიმედო ვალებისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ეს მაჩვენებელი შეადგენდა 2,1 მლნ ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრისთვის ანალოგიური მაჩვენებელი განისაზღვრა 2,56 მლნ ლარით (კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა #8).

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფინანსური რისკები

ჯგუფის მხრიდან რისკების თვალსაზრისით განხილვას ექვემდებარება ფინანსური რისკები. ამ კატეგორიაში არსებობს:

საბაზრო რისკი - როგორცაა ჯგუფის მხრიდან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება. კერძოდ, სავალუტო ოპერაციები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის რისკის საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად მცირეა, ვინაიდან 2017 წელს ჯგუფის მხრიდან მთლიანად დაიფარა ვალუტაში არსებული ფინანსური ვალდებულებები (გრძელვადიანი საბანკო სესხი და სალიზინგო ვალდებულება).

საპროცენტო განაკვეთის რისკი - ჯგუფი ასევე განიხილავს მოზიდულ საკრედიტო რესურსზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს, რამდენადაც მიმდინარე სესხების განაკვეთები დაკავშირებულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე (ამ რისკის დადგომის მაგალითი უკვე არსებობს მოქმედი კონტრაქტების ფარგლებში).

საკრედიტო რისკი - კონტრაქტორის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი. ამ შემთხვევაში ძირითადი გაურკვევლობა არსებობს დებიტორული დავალიანების ნაწილში. კერძოდ, ჯგუფს გააჩნია დიდი რაოდენობის დებიტორული დავალიანება (როგორც ფინანსურ ჭრილში, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით). აქედან გამომდინარე ჯგუფი დგას მისაღები თანხების დაუბრუნებლობის რისკის ქვეშ. ამის გამო დებიტორული დავალიანების ნაწილზე შექმნილია შესაბამისი რეზერვი, როგორც ამას ითვალისწინებს ფასს. ამ საკითხზე დეტალური ინფორმაცია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშიც არის გახსნილი (შენიშვნა #9). რაც შეეხება საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, ამ ფაქტორს ჯგუფი უმნიშვნელოდ მიიჩნევს, რამდენადაც კონტრაქტორი ბანკები წარმოადგენენ მაღალი რეპუტაციის ფინანსურ ინსტიტუტებს.

ლიკვიდურობის რისკი - ეს რისკი დაკავშირებულია ჯგუფის მხრიდან მიმდინარე ვალდებულებების შესრულებასთან. ამ შემთხვევაში ლიკვიდურობის რისკის გავლენა დაბალია, ვინაიდან ჯგუფის მიმდინარე აქტივები დაახლოვებით 4-ჯერ მეტია მის მიმდინარე ვალდებულებებზე.

გენერალური დირექტორი
შოთა ჯოგლიძე

ფინანსური დირექტორი
ნიკოლოზ თოიძე

საკრედიტო რისკი - კონტრაქტორის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკი. ამ შემთხვევაში ძირითადი გაურკვევლობა არსებობს დებიტორული დავალიანების ნაწილში. კერძოდ, ჯგუფს გააჩნია დიდი რაოდენობის დებიტორული დავალიანება (როგორც ფინანსურ ჭრილში, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით). აქედან გამომდინარე ჯგუფი დგას მისაღები თანხების დაუბრუნებლობის რისკის ქვეშ. ამის გამო დებიტორული დავალიანების ნაწილზე შექმნილია შესაბამისი რეზერვი, როგორც ამას ითვალისწინებს ფასს. ამ საკითხზე დეტალური ინფორმაცია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაშიც არის გახსნილი (შენიშვნა #9). რაც შეეხება საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს, ამ ფაქტორს ჯგუფი უმნიშვნელოდ მიიჩნევს, რამდენადაც კონტრაქტორი ბანკები წარმოადგენენ მაღალი რეპუტაციის ფინანსურ ინსტიტუტებს.

ლიკვიდურობის რისკი - ეს რისკი დაკავშირებულია ჯგუფის მხრიდან მიმდინარე ვალდებულებების შესრულებასთან. ამ შემთხვევაში ლიკვიდურობის რისკის გავლენა დაბალია, ვინაიდან ჯგუფის მიმდინარე აქტივები დაახლოვებით 4-ჯერ მეტია მის მიმდინარე ვალდებულებებზე.

გენერალური დირექტორი
შოთა ჯოგლიძე



ფინანსური დირექტორი
ნიკოლოზ თოიძე

